ჯიმ–ჯიმ კურტი

I

ჩვენში მარტო ერთია გიჟი. დანარჩენები ჭკვიანები ვართ, ასე გვეუბნებიან აქ. ჩვენ კი ვცდილობთ საპირისპირო დავუმტკიცოთ. თუ ვერ დავუმტკიცებთ მაშინ ომში წაგვასხავენ სხვა მიწაზე და სხვა ხალხისთვის თავისუფლების წასართმევად. მე ჩემს თავისუფლებას სხვაზე მაღლა ვერ დავაყენებ, ამიტომ აქ ვარ და ფსიქოტროპული საშუალებებით გაბრუებული დავდივარ პალატიდან პალატაში. ხან ვახერხებ წამლის დალევას თავი ავარიდო, ხან ვერა. ყოველდღე მოდის ვიღაც მაინც, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი და კითხვებს სვამს. ჩვენ პასუხებს ვერ ვცემთ, ან არ ვცემთ, გააჩნია ვის გვაქვს იმ დღეს წამალი გადაყლაპული. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენგან პასუხის მიღება თითქმის გამორიცხულია, მანამ მაინც, ვიდრე ომი არ დამთავრდება. მერე ალბათ გამოვჯანმრთელდებით და უკვე სრულიად ჯანმრთელები წავალთ დიდი ხნით ციხეში. დიდი და მსოფლიო გავლენებზე მონადირე ქვეყნების სახელმწიფოებრივად უამბიციო მოქალაქეებს ყოველთვის უფრო მეტი გვაქვს დასაკარგი, რადგან ჩვენ შეგვიძლია ზოგიერთ შემთხვევაში არჩევანის გაკეთება. ჩვენ ლოკალურ სივრცეში მოქცეული ჭკვიანების ლეგიონი ვართ, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით, სხვადასხვა რაიონებიდან შეიკრიბნენ. არცერთი არ ვსაუბრობთ. ერთმანეთს სიტყვასაც კი არ ვეუბნებით, რომ არ გავმჟღავნდეთ. თითოეულ ახალ წევრს უსიტყვოდ ვუგებთ და ვხვდებით რის გამო აღმოჩნდა ჩვენს გარემოში. ჩვენ ქვეყანას ურჩევნია უფრო მეტი შეურაცხადი ჰყავდეს, ვიდრე მეამბოხე პაციფისტი. ყველას დასანახად - ჩვენ გიჟები ვართ, სისტემის მხოლოდ და მხოლოდ ერთი რიგითი გარეგანი დეფექტი, რომელსაც გრძნობ, ყოველთვის გაწუხებს, მაგრამ ვერასდროს უტყდები სხვას. სიმართლე კი ისაა, რომ ეს ნაკლი დღითიდღე, უფრო და უფრო იზრდება და ამიტომაც არის, რომ ყოველდღე მოდიან, გვამოწმებენ, გვემუქრებიან. სხვადასხვა ხერხით ცდილობენ გაგვხადონ სულით ავადმყოფებისთვის განკუთვნილი თეთრი ხალათები. ჩვენ კი არ ვნებდებით, რა უნდა მოხდეს, ან რით უნდა დაგვაშინონ, რომ ისევ სამხედრო ფორმები მოვირგოთ ტანზე.

II

შესაძლოა, ერთ დროს აქ ნამდვილად ისხდნენ სულით ავადმყოფები, მაგრამ დღეისათვის ერთადერთი, ვინც ჩვენზე ადრე გადავიდა ჭკუიდან ჯიმ–ჯიმ კურტია.

ჩვენზე ბევრად ადრე მოვიდა (მოიყვანეს) და იმის მერე მისი ხმა არავის აღარ გაუგია. ზოგჯერ როცა მას ვაკვირდები, მგონია, რომ ზოგადად შეშლილები არ არსებობენ და ისინი ადამიანთა ძალიან მცირე ჯგუფების წევრები არიან, რომლებიც შემთხვევითობის წყალობით მათთვის შეუსაბამო გარემოპირობებში მოხვდნენ, ხოლო საკუთარი ჯგუფის წევრებთან ურთიერთობის არარსებობის პირობებში ისინი უარს ამბობენ სხვა ჯგუფებთან კომუნიკაციაზე და მერე მათთან ბრძოლაში ერთვებიან.

მის შესახებ არაფერი ვიცი, გარდა საკუთარი შეხედულებებისა. მისი სახელიც მეუცნაურება, აქამდე არასდროს მსმენია და ნამდვილიც არ უნდა იყოს. კითხვით კი არც მას და მითუმეტეს მედპერსონალს არაფერს ვკითხავ, ყველა ისედაც ჩასაფრებულის მდგომარეობაშია.

ყველაზე მეტად სიკვდილის ეშინია. ჩვენიც ეშინია, იცის ვინც ვართ, ვგრძნობ, რომ იცის. თითქოს მოხუცი იყოს, რომელიც დღე–დღეზე ელოდება სიკვდილს, როცა იმის გახსენებას იწყებენ როგორ და რა ასაკში დაიხოცნენ მათი ნათესავები და ახლო მეგობრები. დამატებით ჩვენ ვებლანდებით ფეხებში. ეს მისი ადგილია, მიჩვეულია აქ ყოფნას და არ უნდა ვინმე მყუდროებას ურღვევდეს, განსაკუთრებით ჩვენ, რომლებსაც ისე აღგვიქვამს, როგორც სიკვდილის ცოცხალ მანქანებს. სხვა დანარჩენი სავარაუდოდ მისი გონების მიღმა რჩება, რაც უკვე აღარ მიკვირს. ჩემზე უფროსი არ არის, ახალგაზრდაა, შეშინებული ჭკუაარეული ბიჭი, რომლის შესახებაც ვერავინ ვერაფერი შეიტყო. ჩვენ რომ ჯარში სამხედრო წვრთნებს გავდიოდით ეს და მისი ასაკის ბიჭები დროს ატარებდნენ, თავახდილი მანქანებით წინ და უკან დაქროდნენ ხმამაღლა ჩართული მუსიკის ხმაზე.

III

დღეს წამლები ვყლაპე. შავი ბერეტი და თეთრი ხალათი ერთად მადგნენ თავზე. ვერაფრით შევძელი არ გადამეყლაპა. პირი, ყელი და ენის ძირი საფუძვლიანად შემიმოწმეს და როცა ვიგრძენი როგორ მოაკლდა სიმყარე ჩემს საყრდენ-მამოძრავებელ სისტემას, სხვა ორი შავი ბერეტი ამომიდგა მხარში და ჩემთვის კარგად ნაცნობ ოთახში შემიტანეს. როგორც წესი ამ ოთახიდან ხმა საერთოდ არ გამოდის. მესამე ბერეტის ისევ და ისევ ნაცნობი სახე ზემოდან დამაშტერდა და მომდევნო რამდენიმე საათი, ჩემს სხეულსა და გონებაზე, საკუთარი მრავალწლიანი გამოცდილებით მიღებული ცოდნის დემოსნტრირებას ახდენდა. როცა ჩემს ოთახში მიმათრიეს, თავის ტვინი და სხეულის თითოეული ნაწილი მტკიოდა. საწოლზე მიმაბეს და მარტო დამტოვეს.

რაღაც დროის შემდეგ არტახები ამხსნეს და შევძელი გარეთ გამოსვლა. დერეფანში შემხვედრ ჯიმს უგემურად მივესალმე და როგორც ყოველთვის მანაც უმეტყველო სახით უარყო ჩემი არსებობა.

დარბაზში ,,ჭკვიანების ლეგიონი“ სტანდარტულად თამაშობდა შეურაცხადის როლს, მაგრამ ნერვიულობა მაინც ეტყობოდათ. ჩვენი ორი წევრი ბერეტიანებს წაეყვანათ.

ოთახში დაბრუნებულს ყველაფერი თავდაყირა დამხვდა. მიუხედავად ამისა, ჩემს აწეწილ საწოლზე მაინც შევამჩნიე პოლიეთილენის პაკეტში სათუთად შეხვეული რამდენიმე ფოტო.

IV

იმ ღამით ჯიმ–ჯიმ კურტი მოკლეს. არ უნდოდათ, მაგრამ მაინც მოკლეს, როგორც სხვები, ყველა ყველაფერს ვერ უძლებს. არ ვიცი რას ერჩოდნენ, იქნება ჩვენებში აერიათ და მისი დუმილით გაღიზიანებულებს წამების დროს შემოაკვდათ. ხომ ვთქვი, ახალგაზრდა იყოთქო. ჩემთვის დატოვებლი ფოტოებით ყველაფერს მივხვდი, იმაზე მეტსაც ვიდრე საჭირო იყო. ამიტომ რაც მეტს დავწერ მის შესახებ, მით უფრო ამერევა სათქმელი. მარტო ერთს დავამატებ. ყველას აქვს რაღაც ზღვარი, ზოგს იოლად მიხვდები, ზოგსაც მანამ ვერ მიხვდებიან, ვიდრე სიცოცხლეს არ დაასრულებ. ჯიმ–ჯიმ კურტიც რაღაც ზღვრამდე მივიდა, მისი ჯგუფის სხვა წევრებივით, მივიდა და გაჩერდა, მეტი ვეღარ შეძლო და ალბათ არც სჭირდებოდა.

რამდენიმე წელია ომი დამთავრდა, მოვიგეთ, რა თქმა უნდა. მე თეთრი ხალათი გამხადეს და ნაცრისფერი ჩამაცვეს. ახლა უფრო მეტად ვარ იზოლირებული საზოგადოებისგან და მიუხედავად იმისა, რომ ლაპარაკს არავინ მიკრძალავს, მაინც ჩუმად ვარ, მუსიკას ვუსმენ ხშირად. ასალაპარაკებლად წლები მინდა ალბათ. ის ფოტოები გავადიდებინე და უკვე საკნის კედლებზე მაქვს ჯიმ მორისონის, ჯიმი ჰენდრიქსის და კურტ კობეინის შავ–თეთრი ფოტოები.